საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№88/14 „20“ აგვისტო 204 წ.

შ.პ.ს. სასტუმრო „ძველი მეტეხი“-ს
დირექტორს ბატონ გიორგი ოქრიაშვილს.

შემოწმება ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მეტეხის აღმართი №3-ში განთავსებულ შ.პ.ს. „სასტუმრო ძველი მეტეხი“-ს (ს.კ. 405045696) შენობას (საკადასტრო კოდი: 01.17.01.117.039), მასში ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობის მიზნით. შენობა ორ სართულიანია გეგმაში პრაქტიკულად მართკუთხა მოხაზულობის მქონე. კონსტრუქციულად შენობა მზიდ კედლებიანია, ნაშენი წითელი აგურის წყობით სისქით 60სმ. იგი დაფუძნებულია ძირითად (კლდოვან) ქანებზე.

შემოწმებით დადგინდა, რომ შენობას საძირკვლების არათანაბარი ჯდენებით ან რაიმე სხვა მიზეზით გამოწვეული დაზიანებები და დეფორმაციები არ გააჩნია და იმყოფება დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაში. ზემოთ აღინიშნა, რომ შ.პ.ს. „სასტუმრო ძველი მეტეხი“-ის ხელმძღვანელობას სურვილი აქვს პირველ სართულზე ჩაატაროს სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რისთვისაც წარმოდგენილია პროექტის არქიტექტურული ნაწილი გეგმარების სახით, რომელზედაც დატანილია სარეკონსტრუქციო ადგილები, ასევე წარმოდგენილია საპროექტო ადგილების ფოტომონტაჟი, მათზე მითითებული სათანადო ზომებით.

პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი:

1. ღერძებში „1“-„2“; „ა“-„ბ“ ღერძებს შორის საჭიროა ამოშენდეს აგურის ან წვრილი საკედლე ბლოკის წყობით არსებული კარის ღიობი (იხ. ფოტომონტაჟი 1). ამასთან იგივე ღერძებში არსებულ კედელში უნდა მოეწყოს ახალი კარის ღიობი, ზომებით b×h=90×230სმ. (იხილეთ ფოტომონტაჟი 2)

2. „გ“ ღერძის გასწვრივ „2“-„3“ ღერძებს შორის, მდ. მტკვრის გასწვრივ არსებულ ფასადის გრძივ მზიდ კედელში არსებობს ფანჯრის ღიობი სიგანით 120სმ. საჭიროა ფანჯრის ღიობის ქვეშ ჩაიჭრას რაფისქვეშა წყობა

იატაკის ნიშნულამდე და მოეწყოს აივანზე გასასვლელი ახალი კარის ღიობი ზომებით b×h=120×230სმ. (იხილეთ ფოტომონტაჟი 3).

3. „ბ“ ღერძის გასწვრივ „3“-„4“ ღერძებს შორის არსებულ გრძივ მზიდ კედელში „4“ ღერძზე მდებარე განივი კედლის ტორსიდან 20სმ.-ის დაშორებით უნდა მოეწყოს ახალი კარის ღიობი ზომებით b×h=100×295სმ. (იხილეთ ფოტომონტაჟი 4.).

4. „4“ ღერძის გასწვრივ, „ა“-„ბ“ ღერძებს შორის არსებულ განივ მზიდ კედელში „ა“ ღერძზე მდებარე გრძივი კედლის ტორსიდან 20სმ.-ის დაშორებით უნდა მოეწყოს ახალი კარის ღიობი ზომებით b×h=120×295სმ. (იხილეთ ფოტომონტაჟი 5.).

5. „ბ“ ღერძის გასწვრივ „4“-„5“ ღერძებს შორის არსებულ გრძივ მზიდ კედელში არსებობს სარკმლის ღიობი სიგანით 120სმ. საჭიროა სარკმლის ღიობის ქვეშ ჩაიჭრას რაფისქვეშა წყობა იატაკის ნიშნულამდე და მოეწყოს ახალი კარის ღიობი ზომებით b×h=120×230სმ. (იხილეთ ფოტომონტაჟი 6).

საკითხების შესახებ შ.პ.ს. „მონოლითი“ გაცნობებთ, რომ მიზანშეწონილია, შესაძლებელია და არ იქონიებს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას მთლიანად შენობისათვის, პროექტის არქიტექტურული ნაწილით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება. აქვე გაცნობებთ შემდეგს: ახალი კარის ღიობების მოსაწყობად, ღიობების თავზე უნდა მოეწყოს კუთხოვანები კვეთით 125×8, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირდება თამასებით სისქით δ=8მმ. ელექტროშედუღების საშუალებით. კუთხოვანების გადაშვერა ღიობების ორივე მხარეს მივიღოთ არანაკლები 25სმ. (პოზიციებისათვის 1; 3; 4). დანარჩენი პოზიციებისათვის რაიმე დამატებითი კონსტრუქციული ღონისძიებები საჭირო არ არის.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/